თბილისელები ამარცხებენ ლიდერს

მინსკი. “დინამოს” სტადიონი. 2 მაისი.

“დინამო” (მინსკი) _ “დინამო” (თბილისი) 2:4 (1:3).

მინსკი: გლუხოტკო (ანდრესი), კოლტუნოვი, კანუნიკოვი, რიომინი, სავოსტიკოვი, არზამასცევი, კურილოვი, ადამოვი, ტოლეიკო, მალოფეევი, კაბერსკი (მუსტიგინი).

თბილისი: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, შერგელაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ჭელიძე, პეტრიაშვილი (იამანიძე), დათუნაშვილი, მეტრეველი, ნოდია, ასათიანი.

მსაჯი ი. ბოჩაროვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 0:0.

ამ ტურისთვის მინსკელები სათავეში ედგნენ გათამაშების ცხრილს. იქნებ იმიტომ, რომ გუნდს არ სურდა ამ პირველი საფეხურის დატოვება, მის თამაშში მეტისმეტი ნერვიულობა იგრძნობოდა. ნერვიულობას კი შეცდომები მოსდევს...

თბილისელებმა კარგად გამოიყენეს მოწინააღმდეგის ეს შეცდომები. მე-4 წუთზე, როცა მასპინძელთა კართან სრულიად უხიფათო მდგომარეობა იყო, ბურთი მიიღო რიომინმა. მას თამაშის გაგრძელების რამდენიმე ვარიანტი ჰქონდა, ამოირჩია კი ის ვარიანტი, რომლის შედეგადაც ბურთი ჩაუვარდა ასათიანს. თბილისელმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა ეს ეპიზოდი _ 1:0.

ორიოდე წუთის შემდეგ მინსკელთა კართან აღინიშნა კუთხური. ბურთი მოწოდებულ იქნა კარიდან დაახლოებით 6 მეტრის მანძილზე. გლუხოტკომ დააგვიანა წინ გამოსვლა და ასათიანმა თავით გაგზავნა მეორე ბურთი ლიდერის კარში _ 2:0.

2 ბურთი მატჩის პირველივე წუთებზე სერიოზული ფორა იყო თბილისელთათვის და, რა თქმა უნდა, მათ არ დააყოვნეს მისი ტაქტიკური გამოყენება. ხუთ მცველს შორის თავისუფალი დამზღვევის როლი დაეკისრა ჭელიძეს და მინსკელთათვის ძალიან ძნელი გახდა კარგად ორგანიზებული ჯეგირის დაძლევა. მასპინძლები ცდილობდნენ დრო მოეგოთ და შორი, მაღალი გადაცემებით აწარმოებდნენ იერიშებს, თბილისელთა ტანმაღალი მცველები კი თითქმის უკლებლივ ეუფლებოდნენ ყველა ბურთს და სწრაფ კონტრშეტევებს ქმნიდნენ. ერთ-ერთი ასეთი კონტრშეტევა დამთავრდა მეტრეველის გასვლით ღია პოზიციაში. თავდამსხმელმა აუჩქარებლად შეაფასა სიტუაცია და ზუსტი დარტყმით მესამე ბურთი გაიტანა.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, ბრძოლა უკიდურესად მწვავედ მიმდინარეობდა. თბილისელთა საჯარიმო მოედანზე დაინიშნა თავისუფალი დარტყმა. იგი შეასრულა ადამოვმა, ბურთი მოხვდა მალოფეევს და გავიდა კარში _ 1:3.

თბილისელები შესვენების შემდეგაც სწორი ტაქტიკური გეგმით თამაშობდნენ. ყრუ დაცვას მათ აქტიური საპასუხო იერიშები ამჯობინეს. ერთ ასეთ მომენტში მინსკელთა მცველები უხეშად ეთამაშნენ მეტრეველს და ამ უკანასკნელმა შეუცდომლად გამოიყენა პენალტი _ 4:1.

დარჩენილ დროში მინსკელებმა შეძლეს მხოლოდ ის, რომ ერთი ბურთით შეამცირეს სხვაობა (მალოფეევი). თბილისელებმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვეს ლიდერთან.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
“ლელო”, 4 მაისი, 1967 წ.